ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

21 ოქტომბერი, 2014 წელი

შესასყიდი ობიექტის დასახელება	საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევა

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, „საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების" N 1325 კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები:

ხათუნა ხელიძე

თეიმურაზ გერგაია

თეიმურაზ კაპანაძე

ვახტანგ რაზმაძე

გრიგოლ რევაზიშვილი

სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება:	კონკურსი
შესყიდვის ობიექტის დასახელება:	საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო კომისიის სხდომის ო ქ მ ი # 3

თბილისი

21.10.2014წ.

თემა: საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N 1325-ე კონკურსზე პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. გასვიანი

საკონკურსო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი	ი. ლითანიშვილი
ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი	გ. ამბრიაშვილი
იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე	დ. ჯაგაშვილი
გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	ხ. ხელიძე
გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	ო. ხატიაშვილი
გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს უფროსი	ა. გვაზავა
გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მ/შ	ბ. მინჯორაია
ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი	თ.გერგაია
საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი	თ. კაპანაძე
განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის მ/შ	ვ. რაზმაზე
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	გ. რევაზიშვილი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე	შ. ხალვაში
	ლ. როსტომაშვილი

მსვლელობა: საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N 1325-ე კონკურსში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლის და დამუშავების მიზნით, 2014 წლის 10 სექტემბრის საკონკურსო კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შექმნილი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა შუალედური ინფორმაცია კონკურსანტების ტექნიკური დოკუმენტაციას შესახებ.

აღნიშნულ კონკურსზე, საკონკურსო კომისიის 2014 წლის 10 სექტემბრის N2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დაშვებულ იყვნენ შემდეგი მონაწილეები:

- შპს „საქგზამეცნიერება";

- შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა“;

- შპს „გეომეფი“ (ქვეკონტრაქტორი - კომპანია „Encoydesa Ingennya, S.L“ (ესპანეთი);

- შპს „პროექტმშენკომპანი“;

აღნიშნული კონკურსის პირობების მიხედვით, იმისათვის რათა განხორციელდეს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების საბოლოო ტექნიკური და შემდგომ ფინანსური წინადადებების შეფასება, მათ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო განცხადების მე-10 მუხლის 10.5 – 10.8 პუნქტებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის სხდომაზე, მუშა ჯგუფმა წარმოადგინა მის მიერ შესწავლილი ოთხივე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის ანალიზი განახორციელა საკონკურსო დოკუმენტაციისა და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის გზით.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს ორი პრეტენდენტი: შპს „საქგზამეცნიერება“ და შპს „პროექტმშენკომპანი“.

ამასთან, სხდომაზე აღინიშნა რომ შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების 10.6 და 10.7 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხოლო საკონკურსო განცხადების 10.5 პუნქტის - „საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ“ ინფორმაცია მის მიერ აღმოჩნდა არასრულად წარმოდგენილი. კერძოდ, მას არ ახლავს მოთხოვნილ სამ ერთეულზე („საფუძვლის დეფორმაციის მოდულის საზომზე“, „ბეტონის სიმტკიცის საზომ ხელსაწყოზე“ და „მაღალი განმავლობის სატრანსპორტო საშუალებაზე“ (წარმოდგენილ ორივე ერთეულიდან ერთერთზე - Nissan Navara ან Hundai Galloper) **იჯარის ხელშეკრულებები**, როგორც ეს იყო მოთხოვნილი 10.5 პუნქტს შესაბამისი ცხრილით. აღნიშნული საკითხის არარსებითი ხასიათიდან გამომდინარე, პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის საბოლოო განხილვის მიხნით, კომისიას მიეცა რეკომენდაცია, რათა ეთხოვოს შპს „გზაკომუნპროექტ და ექსპერტიზას“ დეპარტამენტში წერილობით წარმოადგინოს აღნიშნული იჯარის ხელშეკრულებები, რისთვისაც მას მიეცემა გარკვეული პერიოდი.

განხილულ იქნა შპს „გეომეფის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია. საკონკურსო განცხადების 10.6 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვაში მონაწილე პირს, ინფორმაცია უნდა წარმოედგინა, განსაზღვრული საინფორმაციო ცხრილის შესაბამისად, სადაც უნდა ყოფილიყო მოცემული მოთხოვნილი ინფორმაცია თვითოეული სპეციალისტის შესახებ, ასევე მე-6 სვეტის შესაბამისად, მათ შორის **ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობით და ფუნქციით.** შპს „გეომეფის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში, რიგ სპეციალისტებზე, ანკეტური მონაცემებიდან ვერ დადასტურდა წარმოდგენილი სპეციალისტების ანალოგიურ სამუშაოებზე მოთხოვნილი გამოცდილების არსებობა. კერძოდ:

- **გუნდის ხელმძღვანელის პოზიციაზე** წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში, მოცემულ რიგ ობიექტებზე (მითითებულია მხოლოდ შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები) არსებული გამოცდილება, არ ჩაითვალა ანალოგიურად და ამასთან, ვერ დადასტურდა ანალოგიურ სამუშაოებზე მოთხოვნილი მინიმუმ 15 წლიანი გამოცდილების არსებობა;
- **საგზაო ინჟინერის** (ცხრილის მე-2 პუნქტი) პოზიციაზე წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში, ასევე არ არის მოცემული იმ ანალოგიური ობიექტების ჩამონათვალი, სადაც მას გააჩნია საგზაო ინჟინრად მუშაობის გამოცდილება;
- **გეოლოგის** პოზიციაზე წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში, არ არის მოცემული იმ ანალოგიური ობიექტების ჩამონათვალი, სადაც მას გააჩნია გეოლოგად მუშაობის გამოცდილება;
- **შესყიდვების სპეციალისტის** პოზიციაზე წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, მას საერთოდ არ გააჩნია, ანალოგიურ სამუშაოებზე, შესყიდვების სპეციალისტად მუშაობის გამოცდილება;
- **ხარჯთაღრიცხვების სპეციალისტის** პოზიციაზე წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, მას ასევე საერთოდ არ გააჩნია, ანალოგიურ სამუშაოებზე, ხარჯთაღრიცხვების სპეციალისტად მუშაობის გამოცდილება;
- **გეოდეზისტის** (ცხრილის მე-10 პუნქტი) პოზიციაზე წარმოდგენილი კანდიდატის ანკეტაში, არ არის მოცემული იმ ანალოგიური ობიექტების ჩამონათვალი, სადაც მას გააჩნია გეოდეზისტად მუშაობის გამოცდილება;

შედეგად, შპს „გეომეფის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ის ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების 10.6 პუნქტის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, განხილულ იქნა, შპს „გეომეფის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ. კერძოდ, საკონკურსო განცხადების 10.7 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში ერთერთ წელს მაინც უნდა ჰქონოდა შესრულებული არანაკლებ 30.0 მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება. ამასთან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა წარმოედგინა კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ **მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები** (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე. გარდა ამისა, მე-10 მუხლში მითითებული შენიშვნის შესაბამისად, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათთან ერთად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო **ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

შპს „გეომეფმა“, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მან ანალოგიურ სამშენებლო სამუშაოებზე, რომლისთვისაც განახორციელა საპროექტო მომსახურება, ყველაზე მაღალი ბრუნვა, წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, უჩვენა 2014 წელს - 30 150 485.00 ლარი, მაგრამ აქედან ერთერთ ობიექტზე „ზესტაფონში სოფელ როდინაულში არსებული სასოფლო გზის და მეორე სვირისა და „სადგურ სვირის“ დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებაზე“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. შესაბამისად, კონკურსანტის გამოცდილებაში ის ვერ იქნა ჩათვლილი. წარმოდგენილი დადასტურებელი მონაცემების მიხედვით, ანალოგიური სამშნებლო სამუშაოების ბრუნვამ, რომლისთვისაც შპს „გეომეფმა“ გაწია საპროექტო მომსახურება, 2014 წელს შეადგინა - 22 605 485.77 ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ შპს „გეომეფს“, კონკურში წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია, მისი ქვეკონტრაქტორის - კომპანია „Encoydesa Ingennya, S.L.“-ის სამუშაო გამოცდილების შესახებ. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია უცხოურ ენაზე, და მე-10 მუხლის შენიშვის შესაბამისად, მას არ ახლავს ნოტარიულად დამოწმებული მისი ქართული თარგმანი, ის ვერ იქნა განხილული და გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამისობის გათვალიწინებით, საკონკურსო კომისიას მიეცა რეკომენდაცია, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კონკურსიდან შპს „გეომეფის“ დისკვალიფიკაციის შესახებ.

გადაწყვეტილება: საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანებით და „საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N 1325-ე კონკურსის“ პირობებით დაადგინა:

1). ეთხოვოს შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას“, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, დეპარტამენტში წერილობით წარმოადგინოს, საკონკურსო განცხადების 10.5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებულ სამ ერთეულზე („საფუძვლის დეფორმაციის მოდულის საზომზე“, „ბეტონის სიმტკიცის საზომ ხელსაწყოზე“ და „მაღალი განმავლობის სატრანსპორტო საშუალებაზე“) შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები. შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას“ ტექნიკური დოკუმენტაციის საბოლოო განხილვა განხორციელდეს დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის შემდგომ. ამასთან, დადგენილ ვადაში წარმოდგენილი ინფორმაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, განხორციელდება პრეტენდენტის

დისკვალიფიკაცია აღნიშნული კონკურსიდან. კომისიის გადაწყვეტილება შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას“ ეცნობოს წერილობით.

2). საკონკურსო განცხადების 10.6, 10.7 და 10.8 პუნქტებით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, შპს „გეომეფი“ დისკვალიფიცირებულ იქნას აღნიშნული კონკურსიდან და უკან დაუბრუნდეს ფინანსური წინადადების პაკეტი გაუხსნელად. კომისიის გადაწყვეტილება შპს „გეომეფს“ ეცნობოს წერილობით.

3) დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ლ. როსტომაშვილს, გამოსაქვეყნებლად, უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნუგზარ გასვიანი

ოთარ ხატიაშვილი

ხათუნა ხელიძე

გივი ამბრიაშვილი

თეიმურაზ გერგაია

ვახტანგ რაზმაძე

ლევან როსტომაშვილი

ირაკლი ლითანიშვილი

ბეჟან მინჯორაია

დემურ ჯაგაშვილი

ავთანდილ გვაზავა

თეიმურაზ კაპანაძე

გრიგოლ რევაზიშვილი

შაქრო ხალვაში